საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 309/ს
12/09/2022

309-21-4-202209121333

ქ. რუსთავში, შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მათ შორის ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა და წარმადობის გაზრდა) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. რუსთავში, შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მათ შორის ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა და წარმადობის გაზრდა) სკოპინგის დასკვნა N 55;
2. შპს „ეი-ემ-ბი ალოისი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 55 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეი-ემ-ბი ალოისს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეი-ემ-ბი ალოისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. № 6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო